



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემთხვევის მართვის სტანდარტები საქართველოში მოქმედ ადიქტოლოგიურ სერვისებში

ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

სტუდენტი: ნესტან ზურაბიშვილი

ადიქციის კვლევები

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნესტან ზურაბიშვილი

თარიღი - 06/13/2025

ანოტაცია

საქართველოს მკაცრი, რეპრესიული ნარკოპოლიტიკისა და ადიქტოლოგიური სერვისების ფრაგმენტულობის კონტექსტში, სადაც დახმარების მამიებელი პირები მრავალ ბარიერს აწყდებიან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზრუნვის კოორდინირებული მოდელების დანერგვა. ამის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში მოქმედ ადიქტოლოგიურ სერვისებში შემთხვევის მართვის არსებული პრაქტიკისა და სტანდარტების კრიტიკულ ანალიზს, რათა გამოვლენილ იქნას სისტემური გამოწვევები და შემუშავდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები. კვლევა ეფუძნება მეტაანალიზის მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა 2017-2024 წლებში შესრულებული თვრამეტი სამაგისტრო ნაშრომი, რომლებიც შემთხვევის მართვის სტანდარტების იმპლემენტაციას იკვლევდა სხვადასხვა პროფილურ ორგანიზაციაში. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი და სისტემური ხარვეზები; კერძოდ, დადგინდა პერსონალის სპეციალიზებული მომზადებისა და სისტემური სუპერვიზიის მწვავე დეფიციტი, კლიენტის შეფასებისა და მომსახურების დაგეგმვის პროცესის არასრულფასოვნება და არათანმიმდევრულობა, რეფერირების სუსტი მექანიზმები და პროგრამის დასრულების შემდგომი მეთვალყურეობის (follow-up) პრაქტიკის თითქმის სრული არარსებობა. ამასთანავე, პრობლემურია არასტანდარტიზებული ორგანიზაციული პოლიტიკა, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, შემთხვევის მენეჯერების არამდგრადად მაღალ დატვირთვას იწვევს. შესაბამისად, ნაშრომი ასკვნის, რომ მიუხედავად შემთხვევის მართვის ცალკეული ელემენტების არსებობისა, მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია სპორადული და ფრაგმენტულია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს. ამრიგად, მოდელის პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებას კრიტიკულად აფერხებს კვალიფიციური ადამიანური რესურსების, სტანდარტიზებული პროცედურებისა და ინტეგრირებული ზრუნვის პროტოკოლების ნაკლებობა, რის გამოც ადიქტოლოგიური სერვისების ხარისხისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შემთხვევის მართვის ერთიანი ეროვნული სტანდარტების შემუშავება, დანერგვა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება.

Annotation

In the context of Georgia's strict, repressive drug policy and the fragmentation of addiction services, where individuals seeking help face multiple barriers, the implementation of coordinated models of care is of particular importance. Given this, this paper aims to critically analyze the current case management practices and standards in addiction services operating in Georgia in order to identify systemic challenges and develop evidence-based recommendations. The study is based on a meta-analysis methodology, within the framework of which eighteen master's theses completed in 2017-2024 were processed, which examined the implementation of case management standards in various profile organizations. The analysis identified significant and systemic gaps; In particular, an acute shortage of specialized training and systematic supervision of personnel, an inadequate and inconsistent process of client assessment and service planning, weak referral mechanisms, and an almost complete absence of follow-up practices after the completion of the program were identified. In addition, non-standardized organizational policies are problematic, which, among other things, leads to an unsustainably high workload for case managers. Accordingly, the paper concludes that despite the existence of individual elements of case management, their practical implementation is sporadic and fragmented and significantly lags behind international standards. Thus, the full realization of the model's potential is critically hampered by the lack of qualified human resources, standardized procedures, and integrated care protocols, which is why the main task in order to improve the quality and efficiency of addiction services is to develop and implement unified national case management standards and establish a professional development system.